CRRC საქართველო
კავკასიის კვლევითი
რესურსების ცენტრი

საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობისა და მშვიდობის მშენებლობაში მათი მონაწილეობის კვლევა

კვლევის ანგარიში

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველო

დეკემბერი 2021

სარჩევი

აბრევიატურები **2**
დიაგრამების ჩამონათვალი **3**
რეზიუმე **5**
შესავალი **7**
მეთოდოლოგია **9**
მიგნებები **10**
ღირებულებები 10
ინსტიტუციური ნდობა *10*
განზოგადებული ნდობა *13*
ეთნიკური სოციალური დისტანცია *13*
დემოკრატიისადმი დამოკიდებულება *15*
დამოკიდებულებები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მიმართ *16*
სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა 18
დამოკიდებულებები საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენების მიმართ *18*
ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების აღქმა *19*
სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის გამოცდილება *20*
პოლიტიკური ქმედითობა *23*
პარტიული სიმპათიები *26*
კონფლიქტები და მშვიდობის მშენებლობა 27
კონფლიქტების შესახებ ცოდნა და გამოცდილება *27*
ურთიერთობები კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის *31*
სამშვიდობო პროცესების მიმართ დამოკიდებულება *32*
სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობით დაინტერესება *36*
დასკვნები **38**
ბიბლიოგრაფია **41**

აბრევიატურები

გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
CAPI	კომპიუტერის მეშვეობით ჩატარებული პირისპირი ინტერვიუ
CRRC-საქართველო	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველო

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით... (%) 10

დიაგრამა 2: სახელისუფლებო ინსტიტუტებისადმი ნდობის ინდექსი (%) 11

დიაგრამა 3: არასახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის ინდექსი (%) 12

დიაგრამა 4: როგორ ფიქრობთ, ზოგადად, ადამიანს შეუძლია ენდოს საქართველოში მცხოვრები ხალხის უმეტესობას, თუ, პირიქით, დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ხალხთან ურთიერთობისას? (თავდაპირველი, 10-ბალიანი სკალის პასუხის ვარიანტები დაჯგუფებულია, %). 13

დიაგრამა 5: სოციალური დისტანციის ინდექსის მაჩვენებლები (%)..... 14

დიაგრამა 6: მოყვანილი მოსაზრებებიდან, რომელია ყველაზე ახლოს თქვენს შეხედულებებთან? (%) 15

დიაგრამა 7: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ქართულ პოლიტიკაში ქალები უფრო მეტად უნდა იყვნენ წარმოდგენილები? (%) 16

დიაგრამა 8: რა ძირითად ცვლილებებს მოუტანს ქვეყანას ქალების უფრო აქტიური პოლიტიკური მონაწილეობა? (რესპონდენტებს შეეძლოთ მაქსიმუმ სამი პასუხის არჩევა, %)..... 17

დიაგრამა 9: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად გაინტერესებთ ან არ გაინტერესებთ შემდეგი საკითხები: (%) 18

დიაგრამა 10: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად გაინტერესებთ ან არ გაინტერესებთ მიმდინარე მოვლენები... (%)..... 18

დიაგრამა 11: თქვენი აზრით, რა არის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში? და რომელი პრობლემაა მნიშვნელობით მეორე ადგილზე? (%)..... 20

დიაგრამა 12: თქვენი აზრით, საქართველო დღეს სწორი მიმართულებით მიდის, თუ მიიჩნევთ, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით მიდის? (%)..... 20

დიაგრამა 13: გთხოვთ, მითხრათ, ჩამოთვლილთაგან რომელ აქტივობაში მიიღეთ მონაწილეობა ბოლო 6 თვის განმავლობაში? (%) 21

დიაგრამა 14: ხართ თუ არა ამჟამად რომელიმე გაერთიანების, კლუბის, ორგანიზაციის ან ასოციაციის წევრი? (%)..... 22

დიაგრამა 15: გთხოვთ, მითხრათ... (%)..... 23

დიაგრამა 16: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ დაჯგუფდა ნეიტრალურ კატეგორიად, %). 23

დიაგრამა 17: შიდა პოლიტიკური ქმედითობის ინდექსი ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. (0-იდან 4-ის ჩათვლით მნიშვნელობები დაჯგუფებულია კატეგორიად „დაბალი,“ 5-იდან 8-ის ჩათვლით - „საშუალო“, ხოლო 9-იდან 12-ის ჩათვლით - „მაღალი“, %)..... 24

დიაგრამა 18: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ დაჯგუფდა ნეიტრალურ კატეგორიად, %) 25

დიაგრამა 19: გარე პოლიტიკური ქმედითობის ინდექსი ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. (0-იდან 4-ის ჩათვლით მნიშვნელობები დაჯგუფებულია კატეგორიად „მაღალი," 5-იდან 8-ის ჩათვლით - „საშუალო", ხოლო 9-იდან 12-ის ჩათვლით - „დაბალი", %). 26

დიაგრამა 20: პარტიული კუთვნილება ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით (კომბინირებულია პასუხები კითხვაზე, თუ რომელი პარტია დგას ყველაზე ახლოს რესპონდენტის შეხედულებებთან და რომელი პარტიისადმია ყველაზე დიდი სიმპათიით განწყობილი, %). 27

დიაგრამა 21: რამდენად გაინტერესებთ ან არ გაინტერესებთ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები? (%) 28

დიაგრამა 22: საიდან იღებთ ინფორმაციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, რამდენიმე პასუხი დაესახელებინათ, %). 28

დიაგრამა 23: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (პასუხის ვარიანტი „არ ვიცი" და „უარი პასუხზე" დაჯგუფდა ნეიტრალურ კატეგორიად, %). 29

დიაგრამა 24: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (პასუხის ვარიანტი „არ ვიცი" და „უარი პასუხზე" დაჯგუფდა ნეიტრალურ კატეგორიად, %). 30

დიაგრამა 25: თქვენი აზრით, რამდენ ხანში მოგვარდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები? (%) 32

დიაგრამა 26: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ჩამოთვლილ მოსაზრებებს? (%)..... 34

დიაგრამა 27: სხვადასხვა მოსაზრება არსებობს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. თითოეული მათგანის შესახებ მითხარით, რამდენად მისაღებია ან მიუღებელია იგი თქვენთვის (%). 35

დიაგრამა 28: სხვადასხვა მოსაზრება არსებობს სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. თითოეული მათგანის შესახებ მითხარით, რამდენად მისაღებია ან მიუღებელია იგი თქვენთვის (%)..... 36

დიაგრამა 29: პირადად თქვენ მიიღებდით თუ არა მონაწილეობას ისეთ ღონისძიებაში, რომელიც მიმართული იქნებოდა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან შერიგებაზე? (%) 36

რეზიუმე

ახალგაზრდების როლი მდგრადი მშვიდობის მშენებლობაში საყოველთაოდაა აღიარებული, თუმცა საქართველოს კონფლიქტების კონტექსტში, ნაკლებად გვაქვს წარმოდგენა როგორც ახალგაზრდების პოლიტიკურ მონაწილეობაზე, ისე მათი მონაწილეობის გასაზრდელად გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობაზე.

საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა, და მშვიდობის მშენებლობაში მათი მონაწილეობა „კავკასიური სახლისთვის“ „CRRC-საქართველომ“ რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე შეისწავლა. გამოკითხვის ფარგლებში, ქვეყანაში მცხოვრებ 18-იდან 29 წლის ჩათვლით ასაკის რესპონდენტებთან ჩატარდა ინტერვიუები, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მშვიდობის მშენებლობის პროცესებში მონაწილეობის გამოცდილებისა და ამ პროცესისადმი მათი დამოკიდებულებების შესწავლას. საველე სამუშაოები 2021 წლის ივლისისა და აგვისტოს პერიოდში მიმდინარეობდა და საერთო ჯამში, 1 116 რესპონდენტი გამოიკითხა.

კვლევის საფუძველზე, შეგვიძლია, შემდეგი დავასკვნათ:

ღირებულებები

- ახალგაზრდები სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს ნაკლებად ენდობიან, მათ შორის როგორც ხელისუფლების, ისე სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებს. ნდობის ხარისხი შედარებით მაღალია იმ ახალგაზრდებს შორის, რომელთა შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მმართველი პარტია დგას.
- ახალგაზრდები საკმაოდ დისტანცირებულნი არიან სხვადასხვა ეროვნებისა თუ ეთნოსის წარმომადგენლებისაგან, მათ შორის - აფხაზებისა და ოსებისგან.
- დემოკრატია ახალგაზრდების დიდი ნაწილისთვის ყველაზე მისაღები პოლიტიკური წყობაა, თუმცა არა ყველასთვის. სასურველი პოლიტიკური სისტემისადმი დამოკიდებულებები კავშირშია განათლების მიღწეულ დონესა და ეკონომიკურ მდგომარეობასთან.
- ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალთა გაზრდილი პოლიტიკური მონაწილეობა ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის ზრდას, თუმცა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით, რესპონდენტები ერთსულოვნები არ არიან. ქალებთან შედარებით, ახალგაზრდა კაცები უფრო მეტად არიან სკეპტიკურად განწყობილნი.

სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

- ახალგაზრდებისთვის ზოგადად ქვეყანაში, თუ თავიანთ საცხოვრებელ ადგილას მიმდინარე მოვლენები უფრო საინტერესოა, ვიდრე ქვეყნის პოლიტიკა. როგორც მიმდინარე მოვლენებით, ისე პოლიტიკით მეტად ინტერესდებიან უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები.
- ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით მიდის. ქვეყნის წინაშე მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს შორის, ძირითადად, ეკონომიკური ხასიათის საკითხები - უმუშევრობა და სიღარიბე სახელდება.

- სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდები პასიურები არიან. დაბალია როგორც თემის დონეზე - ადგილობრივი ხელისუფლების, ისე პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში მონაწილეობა. დაბალია როგორც შიდა, ისე გარე პოლიტიკური ქმედითობაც - ახალგაზრდების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ცვლილებები ნაკლებად შესაძლებელია, და ცალკე აღებულ მოქალაქეს რაიმეს შეცვლის ძალა ნაკლებად შესწევს.
- ახალგაზრდების მესამედი აცხადებს, რომ მის შეხედულებებთან საქართველოში მოქმედი არცერთი პოლიტიკური პარტია დგას, მეათედზე მეტს კი ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს. ძალიან დაბალია პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობაც.

კონფლიქტები და მშვიდობის მშენებლობა

- ახალგაზრდები მეტად ინტერესდებიან კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებით, ვიდრე - ამ რეგიონების პოლიტიკური ცხოვრებით. კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ახალგაზრდების უმრავლესობა იღებს ინფორმაციას, ძირითადად - „ფეისბუქის“, ქართული ტელემაუწყებლობისა, და ეროვნული ონლაინ მედიის საშუალებით.
- ახალგაზრდები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ სამშვიდობო პროცესებში, თუმცა ნაკლებად თვლიან, რომ კონფლიქტებთან მიმართებით რაიმეს შეცვლის ძალა შესწევთ. უმაღლესი განათლება, და კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილების გამოცდილება როგორც სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობის პოტენციალის, ისე შესაძლებლობების აღქმასთანაა დაკავშირებული.
- აფხაზეთსა ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანებთან მცირეა როგორც პირადი კონტაქტები, ისე რაიმე სახის ურთიერთობის გამოცდილება. კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილების გამოცდილების მქონე ახალგაზრდებს მეტად აქვთ აფხაზეთის, მაგრამ არა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან ურთიერთობის გამოცდილება.
- ახალგაზრდების სრული უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები მოლაპარაკებების გზით უნდა გადაიჭრას.
- ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი (44%) მიიჩნევს, რომ ქალების მეტ ჩართულობას სამშვიდობო პროცესებში დადებითი გავლენა ექნება, რასაც, ყველაზე ხშირად, მშვიდობის გრძელვადიანი შენარჩუნების პერსპექტივას უკავშირებენ.
- ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მშვიდობის დამყარებისთვის მნიშვნელოვანია, მხარეებმა წარსულში მომხდარი დაივიწყონ და ერთად იფიქრონ მომავალზე აფხაზებთან და ოსებთან ერთად, თუმცა უფრო პოპულარულია მოსაზრება, რომ აფხაზებმა და ოსებმა პირველებმა უნდა მოუხადონ ბოდიში ქართველებს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამო, ვიდრე მოსაზრება, რომ ბოდიში პირველად ქართველებმა უნდა მოიხადონ.
- კონფლიქტების მოგვარების ის უნიტარული მოდელები, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან ასოცირდება, ახალგაზრდების ყველაზე დიდი ნაწილისთვის არის მისაღები. ფედერაციულ და კონფედერაციულ მოწყობას არცთუ ისე ბევრი მომხრე ჰყავს, თუმცა უფრო ხშირია ჩამოუყალიბებელი პოზიცია, ვიდრე წინააღმდეგობა. რაც შეეხება დამოუკიდებლობასა თუ რუსეთთან ინტეგრაციას, ახალგაზრდების დიდი უმრავლესობისთვის კონფლიქტის მოგვარების ეს სცენარები მიუღებელია.

შესავალი

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში ახალგაზრდები, დიდწილად, მარგინალიზებული ჯგუფია, და მათი გავლენა სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაზე უმნიშვნელოა, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს სამშვიდობო პროცესებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ პოსტ-კონფლიქტურ გარემოში ახალგაზრდების როლი მდგრადი მშვიდობის მშენებლობაში აღიარებულია გლობალურ დონეზე, მათ შორის ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები (2250[1] და 2419[2]) ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე, საქართველოს კონფლიქტების კონტექსტში თითქმის არაფერი კეთდება ამ მიმართულებით. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი წინ წამოსწევს გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თუ კულტურულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობას, თუმცა სამშვიდობო პროცესებში მათ მონაწილეობაზე არაფერია ნათქვამი[3]. 2020 წელს დამტკიცდა 2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის ახალი კონცეფციაც, რომელშიც ასევე არ ფიგურირებს მშვიდობის მშენებლობაში ახალგაზრდების მონაწილეობის საკითხი.[4]

საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობისა და მშვიდობის მშენებლობაში მათი მონაწილეობის კვლევა "კავკასიური სახლის" ინიციატივაა და მოამზადა „CRRC-საქართველომ" რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევა მოიცავდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას და მიზნად ისახავდა სოციალურ, ეკონომიკურ, და პოლიტიკურ ცხოვრებასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ახალგაზრდების მონაწილეობის გამოცდილებისა და მონაწილეობისადმი დამოკიდებულებების შესწავლას. მოცემული ანგარიში წარმოადგენს შეგროვებული რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის შედეგებს.

კვლევის ფარგლებში მონაცემები შეგროვდა საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების დამოკიდებულებებისა და გამოცდილების შესახებ შემდეგ საკითხებზე:

- სამოქალაქო ღირებულებები და ნდობა ინსტიტუტების მიმართ;

---

[1] UNSCR 2250 (2015)

[2] UNSCR 2419 (2018)

[3] საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (2014)

[4] საქართველოს პარლამენტი (2020)

- სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა, და დამოკიდებულებები მონაწილეობის მიმართ;
- კონფლიქტების შესახებ ცოდნა და გამოცდილება, და სამშვიდობო პროცესების მიმართ არსებული დამოკიდებულებები.

კვლევა 2021 წლის ივლისისა და აგვისტოს პერიოდში ჩატარდა. რაოდენობრივი გამოკითხვა საქართველოს ზრდასრული ახალგაზრდა (18-29 წლის) მოსახლეობის წარმომადგენლობითია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით. საერთო ჯამში, 1 116 რესპონდენტი გამოიკითხა. ცდომილების საშუალო ზღვარი 2.4 პროცენტს შეადგენს.

ანგარიშის მომდევნო სექციაში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია. მას მოჰყვება კვლევის მიგნებები, რომელიც სამ თავადაა დაყოფილი: 1) ღირებულებები, 2) სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა, 3) კონფლიქტები და მშვიდობის მშენებლობა. ანგარიში სრულდება კვლევის ძირითადი მიგნებებით.

მეთოდოლოგია

ზემოთაღწერილი საკითხების შესასწავლად, „CRRC-საქართველომ“ კვლევის რაოდენობრივი მეთოდი გამოიყენა. პირისპირი გამოკითხვა კომპიუტერის მეშვეობით (CAPI) ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე 2021 წლის 7 ივლისიდან 17 აგვისტომდე პერიოდში ჩატარდა, სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე.

კვლევის ფარგლებში სულ 1 116 რესპონდენტი გამოიკითხა. მონაცემები საქართველოს ზრდასრული ახალგაზრდა (18-იდან 29 წლის ჩათვლით) მოსახლეობის წარმომადგენლობითია, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით. გამოკითხვის მონაცემების განზოგადება შესაძლებელია მსხვილი დემოგრაფიული ჯგუფების, ისევე, როგორც დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა, და სოფლების მოსახლეობის დონეზე. კვლევის საშუალო ცდომილების ზღვარი 2.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო გამოპასუხება 31 პროცენტი იყო. ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შეწონილია 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით.

დემოგრაფიულ ინფორმაციასთან ერთად, გამოკითხვა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: სამოქალაქო ღირებულებები და ნდობა ინსტიტუტების მიმართ; სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა, და დამოკიდებულებები მონაწილეობის მიმართ; კონფლიქტების შესახებ ცოდნა და გამოცდილება, და სამშვიდობო პროცესების მიმართ არსებული დამოკიდებულებები.

მონაცემები გაანალიზდა როგორც აღწერითი, ისე დასკვნითი სტატისტიკური ტექნიკის გამოყენებით. ზოგადი სურათის აღწერის მიზნით, შესწავლილია რესპონდენტების პასუხების განაწილება, ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების შესწავლის მიზნით კი გამოყენებულია რეგრესიული ანალიზი. ამ უკანასკნელისთვის გამოყენებულია ე.წ. საბაზო მოდელი, რომელშიც შედის სქესის, ასაკის, დასახლების ტიპის, ეთნიკური კუთვნილების, დასაქმების სტატუსის, მშობლების განათლების, დასაქმებაზე კორონავირუსის გავლენის, რელიგიურ მსახურებაზე დასწრების სიხშირის, ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტური აღქმის, ნივთების ფლობის ინდექსით შეფასებული სოციალურ-ეკონომიკური ყოფის დონის, კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილების გამოცდილებისა, და პარტიული კუთვნილების ცვლადები. ტექსტში ჯგუფებს შორის განსხვავებები აღწერილია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ფიქსირდება.

მიგნებები

ანგარიშის ამ სექციაში წარმოდგენილია მიგნებები შემდეგ საკითხებზე: ახალგაზრდების ღირებულებები, ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა, კონფლიქტები და მშვიდობის მშენებლობა. თითოეულ ამ საკითხზე კვლევის მიგნებები შესაბამის თავშია წარმოდგენილი.

ღირებულებები

ინსტიტუციური ნდობა

საქართველოში ახალგაზრდები სახელისუფლებო, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ინსტიტუტებს სხვადასხვა ხარისხით ენდობიან (დიაგრამა 1).[5] ისინი ყველაზე მეტად ჯარსა (81%) და საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებს (61%) ენდობიან. ნდობა ყველაზე დაბალია პოლიტიკური პარტიების მიმართ (8%). საქართველოში ახალგაზრდებს სხვადასხვა ინსტიტუტის მიმართ ნდობისა თუ უნდობლობის თვალსაზრისით, საკმაოდ ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები აქვთ, ვინაიდან მხოლოდ მცირე ნაწილს უჭირს რომელიმე ინსტიტუტის მიმართ ნდობის განსაზღვრა, ან თავს იკავებს ხსენებულისგან. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ პროფკავშირები, რომლის მიმართ ნდობის შეფასება რესპონდენტთა 38 პროცენტს უჭირს.

დიაგრამა 1: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით... (%)



[5] დამრგვალების გამო, ამ და მომდევნო დიაგრამებზე, პროცენტული მაჩვენებლები შეიძლება არ დაჯამდეს 100 პროცენტად.

იმის გასაგებად, თუ როგორ განსხვავდება ნდობა სახელისუფლებო, სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით, ნდობის ჯამური ინდექსები გამოვიყენეთ.[6] ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები, ძირითადად, დასახლების ტიპის, ეთნიკური კუთვნილების, მშობლების განათლების დონისა, და პარტიული კუთვნილების მიხედვით გამოიკვეთა.[7]

დიაგრამა 2: სახელისუფლებო ინსტიტუტებისადმი ნდობის ინდექსი (%)



საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (55%) ნდობას არცერთ სახელისუფლებო ინსტიტუტს არ უცხადებს, ხუთივე ინსტიტუტს კი ძირითადად ან სრულად მხოლოდ 5 პროცენტი ენდობა. ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები ნაკლებად ენდობიან სახელისუფლებო ინსტიტუტებს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან შედარებით (დიაგრამა 1). მართალია განათლების დონის მიხედვით ნდობის ხარისხი არ განსხვავდება, მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა სოციალური კლასი.[8] დედის მიერ მიღებული დაბალი განათლება სახელისუფლებო ინსტიტუტებისადმი მეტ ნდობასთანაა დაკავშირებული. მცირე განსხვავებები გამოიკვეთა პარტიული კუთვნილების მიხედვითაც. ისინი, ვის

---

[6] ჯგუფების გამოსავლენად, თავდაპირველად ჩატარდა ფაქტორული ანალიზი, რომლის მიხედვით გამოიყო ინსტიტუტების სამი ჯგუფი: სახელისუფლებო, სახელმწიფო, და არასახელმწიფო. სახელისუფლებო ინსტიტუტებში გაერთიანდა სასამართლო სისტემის, პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების, პრეზიდენტისა, და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნდობის მაჩვენებლები. სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის ინდექსში გაერთიანდა ჯანდაცვის სისტემის, განათლების სისტემის, ჯარისა, და პოლიციის მიმართ ნდობა. არასახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის ინდექსი გამოითვალა ბანკების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, მედიის, რელიგიური ინსტიტუტებისა, და პროფკავშირების მიმართ ნდობის მაჩვენებლების საფუძველზე. მონაცემების ანალიზის გაადვილების მიზნით, თუკი რესპონდენტი სრულად ან ნაწილობრივ ენდობოდა ამა თუ იმ ინსტიტუტს, მას ნდობის ინდექსზე თითო ქულა ემატებოდა. შესაბამისად, ინდექსის ნულოვანი მნიშვნელობა აღნიშნავს, რომ რესპონდენტი არცერთ ინსტიტუტს ენდობა.

[7] განსხვავება გამოვლინდა პუასონის (თვლის) რეგრესიული მოდელის მეშვეობით.

[8] სოციალური კლასის შესაფასებლად მრავალი სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება, თუმცა წინამდებარე ტექსტში ვიყენებთ დატონის (1985) მიერ შემოთავაზებული მიდგომას, რომელიც ამ მიზნით, მშობლების განათლების დონეს იყენებს. იხ. Dutton (1985).

შეხედულებებთანაც მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ ყველაზე ახლოს დგას, უფრო მეტად უცხადებენ ნდობას სახელისუფლებო ინსტიტუტებს, ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერებსა, და იმ რესპონდენტებთან შედარებით, რომლებიც არცერთი პარტიისკენ იხრებიან.

სახელისუფლებო ინსტიტუტებთან შედარებით, სახელმწიფო ინსტიტუტებს ახალგაზრდები მეტად ენდობიან. ნდობას არ უცხადებს არცერთ სახელმწიფო ინსტიტუტს ახალგაზრდების მხოლოდ 13 პროცენტი. სტატისტიკური განსხვავებები გამოიკვეთა პარტიული კუთვნილების მიხედვით. ისინი, ვის შეხედულებებთანაც მმართველი პარტია ყველაზე ახლოს დგას, მეტად უცხადებენ ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტებს იმათთან შედარებით, ვისი შეხედულებებიც ოპოზიციური პარტიებისკენ, ან არცერთი პარტიისკენ იხრება.

დიაგრამა 3: არასახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის ინდექსი (%)



ახალგაზრდების დაახლოებით მეხუთედი არ ენდობა არცერთ არასახელმწიფო ინსტიტუტს. მათი ყველაზე დიდი წილი (42%) ენდობა მხოლოდ ერთ ინსტიტუტს, ხოლო ექვსივე არასახელმწიფო ინსტიტუტს ახალგაზრდების მხოლოდ 1 პროცენტი ენდობა. ანალიზის შედეგად, ჯგუფებს შორის მცირედი სტატისტიკური განსხვავებები გამოიკვეთა (

დიაგრამა 3). სოფელსა და ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის მცირედით მეტია არასახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის ალბათობა, დედაქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მცირედით მეტად ენდობიან არასახელმწიფო ინსტიტუტებს, ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებთან შედარებით. სტატისტიკურად მნიშვნელოვანია მშობლების განათლებაც, თუმცა მცირე ვარიაციებით. ისინი, ვის შეხედულებებთანაც მმართველი პარტია ყველაზე ახლოს დგას, მეტად უცხადებენ ნდობას არასახელმწიფო ინსტიტუტებს იმათთან შედარებით, ვისი შეხედულებებიც ოპოზიციური პარტიებისკენ, ან არცერთი პარტიისკენ იხრება.

განზოგადებული ნდობა

განზოგადებული ნდობა[9] თანამოქალაქეების მიმართ ქართველ ახალგაზრდებში არც თუ ისე მაღალია. ახალგაზრდების მესამედი (33%) მიიჩნევს, რომ ხალხის უმრავლესობას შეუძლია, ენდოს, 29 პროცენტს კი მიაჩნია, რომ დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო ხალხთან ურთიერთობისას (დიაგრამა 4). 38 პროცენტი შუალედურ პოზიციას იჭერს და არც მაღალი ნდობით გამოირჩევა, არც უნდობლობით.

დიაგრამა 4: როგორ ფიქრობთ, ზოგადად, ადამიანს შეუძლია ენდოს საქართველოში მცხოვრები ხალხის უმეტესობას, თუ, პირიქით, დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ხალხთან ურთიერთობისას? (თავდაპირველი, 10-ბალიანი სკალის პასუხის ვარიანტები დაჯგუფებულია, %).



ზოგადი ნდობის მაჩვენებელი ძირითად დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, გამონაკლისს მხოლოდ კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილების გამოცდილება წარმოადგენს. ასეთი გამოცდილების მქონე ახალგაზრდები შედარებით ნაკლები უნდობლობით გამოირჩევიან იძულებით გადაადგილების გამოცდილების არმქონე ახალგაზრდებთან შედარებით, ვინაიდან უფრო მეტად იხრებიან შუალედური პოზიციისკენ, მაშინ, როდესაც როგორც იძულებით გადაადგილების გამოცდილების მქონე, ისე ასეთი გამოცდილების არმქონე ახალგაზრდების დაახლოებით თანაბარი წილი მიიჩნევს, რომ ხალხის უმეტესობას შეუძლია ენდოს.

ეთნიკური სოციალური დისტანცია

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ეთნოსების, ისევე, როგორც სხვადასხვა ეთნოსის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების შესაფასებლად, სოციალური დისტანციის საზომის, ე.წ. ბოგარდუსის სკალის[10] მოდიფიცირებული ვერსია გამოვიყენეთ, რომელიც სხვა სოციალურ ჯგუფთან ურთიერთობისადმი მზაობას აფასებს. თითოეული ეთნოსის ან ეროვნული ჯგუფის წარმომადგენლისადმი დამოკიდებულება ფასდება 0-იდან 3-მდე ინდექსის ქულით, სადაც

---

[9] განზოგადებული ნდობა მნიშვნელოვანი სოციოლოგიური კონცეფციაა, რომელიც აფასებს, თუ რამდენად ენდობიან ადამიანები სხვებს. კვლევების თანახმად (მაგ. პატნემის მიხედვით), განზოგადებული ნდობა კავშირშია სოციალური კაპიტალის ცნებასთან, ანუ - მოქალაქეთა სურვილთან, სხვებთან ერთად იმუშაონ სხვადასხვა სამოქალაქო საკითხის გადასაწყვეტად. უფრო დეტალურად, იხ. Frederiksen (2019).

[10] Geisinger (2010).

0 აღნიშნავს, რომ რესპონდენტს ამ ჯგუფისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, ხოლო 3 - დადებითი.[11]

ახალგაზრდების დამოკიდებულებები სხვადასხვა ეთნოსისა თუ ეროვნების წარმომადგენლებთან ურთიერთობის მიმართ საგრძნობლად განსხვავდება (დიაგრამა 5). ახალგაზრდების დიდ უმრავლესობას (93%) დადებითი დამოკიდებულება აქვს ქართველებთან როგორც საქმიანი ურთიერთობის, ისე მეგობრობისა და ქორწინების მიმართ, და მხოლოდ 1 პროცენტი არ მოუწონებდა მისი ეროვნების წარმომადგენელს არც ერთი სახის ურთიერთობას ქართველთან.

დიაგრამა 5: სოციალური დისტანციის ინდექსის მაჩვენებლები (%)



[11] წინამდებარე კვლევაში სოციალური დისტანციის სამი საზომი - სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან საქმიანი ურთიერთობის, მეგობრობისა, და ოჯახის შექმნის მიმართ დამოკიდებულებები გამოვიყენეთ. ბოგარდუსის სკალის თავისებურება იმაშია, რომ სხვადასხვა ტიპის ურთიერთობა განსხვავებული ქულით ფასდება. მაგალითად, როდესაც რესპონდენტისთვის სხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობაა მისაღები, მას სოციალური დისტანციის სკალაზე მნიშვნელობა 1 ენიჭება. მათ, ვისთვისაც მეგობრობაა მისაღები - 2, ხოლო ვინც ოჯახის შექმნის შესაძლებლობას უშვებს - ყველაზე მაღალი, 3 ქულა. ამასთან, ბოგარდუსის სკალის კიდევ ერთი დაშვებაა ის, რომ რესპონდენტისთვის ავტომატურად მისაღებია უფრო „დაბალი ხარისხის“ ურთიერთობაც, მაგალითად - თუკი იგი ეთანხმება, რომ იმეგობრებდა ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენელთან, მაშინ მისთვის საქმიანი ურთიერთობაც მისაღები იქნება და ა.შ.

შედარებით დაბალია სამივე სახის ურთიერთობის მიმართ მზაობა სხვა ეთნოსისა თუ ეროვნების წარმომადგენლების მიმართ. ქართველების შემდეგ, ყველაზე ხშირად სამივე სახის ურთიერთობის მიმართ მზადყოფნა ამერიკელთან (72%), იტალიელთან (71%), აფხაზთან (69%), რუსთან (68%), ოსთან (63%), სომეხთან (60%), აზერბაიჯანელთან (59%), და თურქთან (53%) სახელდება.

სხვადასხვა ეროვნებისა თუ ეთნოსის წარმომადგენელთან საქმიანი ურთიერთობის, მეგობრობისა თუ ქორწინების მიმართ დამოკიდებულებები განსხვავდება რამდენიმე ძირითად დემოგრაფიულ ჯგუფს შორის. უმეტეს შემთხვევაში, ქალები, 18-23 წლის ახალგაზრდები, დედაქალაქის მაცხოვრებლები, ეთნიკურად ქართველები, და საშუალოზე მაღალი განათლების მქონე ახალგაზრდები მეტად ღია არიან სხვა ეროვნების წარმომადგენელთან სამივე სახის ურთიერთობის მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს რელიგიურ მსახურებაზე დასწრებაც. მაგალითად, აზერბაიჯანელთან სამივე სახის ურთიერთობას მეტად მიესალმებიან ახალგაზრდები, რომლებიც არასდროს ესწრებიან ღვთისმსახურებას, იმათთან შედარებით, ვინც გარკვეული ინტენსივობით მაინც ესწრება რელიგიურ მსახურებას.

ზოგადად, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები საკუთარი ეროვნების წარმომადგენელს მეგობრობასა და საქმიან ურთიერთობას უფრო მოუწონებდნენ სხვა ეთნოსისა თუ ეროვნების წარმომადგენელთან, ვიდრე დაოჯახებას, რაც უფრო უშუალო და ახლო ურთიერთობას მოიაზრებს.

დემოკრატიისადმი დამოკიდებულება

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების უმრავლესობა (67%) მიიჩნევს, რომ დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია, და მხოლოდ 16 პროცენტს მიაჩნია, რომ ზოგ შემთხვევაში, არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია, ვიდრე დემოკრატიული (დიაგრამა 6). ნიჰილისტური დამოკიდებულება სახელმწიფოს მართვასთან დაკავშირებით ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს: მათი მხოლოდ მეათედი მიიჩნევს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა ტიპის მმართველობა იქნება ქვეყანაში.

დიაგრამა 6: მოყვანილი მოსაზრებებიდან, რომელია ყველაზე ახლოს თქვენს შეხედულებებთან? (%)



საშუალოზე უფრო მაღალი განათლების მქონე ახალგაზრდები, ისინი, ვის მშობლებსაც საშუალოზე უფრო მაღალი განათლება აქვთ, ვინც თავს საშუალო ან უფრო მაღალ ეკონომიკურ საფეხურზე მოიაზრებენ, და ეთნიკურად ქართველები მეტი ალბათობით მიიჩნევენ, რომ დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია.

დამოკიდებულებები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მიმართ

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები ერთსულოვნები არ არიან (

დიაგრამა 7). ახალგაზრდების 43 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქართულ პოლიტიკაში ქალები უფრო მეტად უნდა იყვნენ წარმოდგენილები. აღნიშნულ მოსაზრებას ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილი (15%) არ ეთანხმება, მეოთხედზე მეტი შუალედურ პოზიციას იჭერს და აღნიშნულ მოსაზრებას ნაწილობრივ ეთანხმება, ნაწილობრივ - არა, ხოლო 11 პროცენტი აცხადებს, რომ არ აქვს მნიშვნელობა ქართულ პოლიტიკაში მეტი ქალი იქნება თუ არა ჩართული.

დიაგრამა 7: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ქართულ პოლიტიკაში ქალები უფრო მეტად უნდა იყვნენ წარმოდგენილები? (%)



განსხვავებები იკვეთება ძირითად დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის. ქალთა გაზრდილი პოლიტიკური მონაწილეობის მიმართ სკეპტიკურად განწყობილნი, უფრო ხშირად, არიან კაცები, 24-29 წლის ახალგაზრდები, და ახალგაზრდები, რომელთა ოჯახშიც პანდემიის გამო სამსახური არავის დაუკარგავს, ან რომელთა შეხედულებებთანაც მმართველი პარტია ყველაზე ახლოს დგას.

დიაგრამა 8: რა ძირითად ცვლილებებს მოუტანს ქვეყანას ქალების უფრო აქტიური პოლიტიკური მონაწილეობა? (რესპონდენტებს შეეძლოთ მაქსიმუმ სამი პასუხის არჩევა, %).

ის ახალგაზრდები, რომლებიც ქართულ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის გაზრდას ემხრობიან, ასახელებენ იმ ძირითად ცვლილებებს, რაც შეიძლება ქალთა უფრო აქტიურმა პოლიტიკურმა მონაწილეობამ მოუტანოს ქვეყანას (

დიაგრამა 8). ყველაზე ხშირად თანასწორობის ფაქტორი სახელდება, ვინაიდან ახალგაზრდების 41 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქალთა აქტიური პოლიტიკური მონაწილეობის შედეგად, ქალებს და კაცებს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები ექნებათ. შემდეგი ყველაზე ხშირად დასახელებული ცვლილება კანონის უზენაესობას ეხება, ვინაიდან ახალგაზრდების 35 პროცენტი მიიჩნევს, რომ ოჯახური ძალადობისა და სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ მიმართული კანონები უფრო მეტად აღსრულდება. ახალგაზრდების 26 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქალების გაზრდილი პოლიტიკური მონაწილეობის შედეგად, უპირატესობა ჯანდაცვას, განათლებას, გარემოს დაცვას და სხვა სოციალურ საკითხებს მიენიჭება, 18 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს ხელს შეუწყობს სამშვიდობო პოლიტიკის დამკვიდრებასა და გამყარებას, ხოლო ყველაზე იშვიათად სახელდება პარტიული პოლიტიკის საკითხები - 12 პროცენტი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური პარტიები უარს იტყვიან დაპირისპირებაზე და ერთმანეთთან მეტად ითანამშრომლებენ.

სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

დამოკიდებულებები საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენების მიმართ

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები პოლიტიკითა თუ საზოგადოებრივი საკითხებით ნაკლებად ინტერესდებიან. ქართული პოლიტიკის მიმართ ინტერესს ახალგაზრდების 34 პროცენტი გამოხატავს, აფხაზეთის პოლიტიკის მიმართ - 32 პროცენტი, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის პოლიტიკის მიმართ კი - 31 პროცენტი. საერთაშორისო პოლიტიკით ახალგაზრდების 28 პროცენტია დაინტერესებული, ხოლო რუსული პოლიტიკით დაინტერესებას 19 პროცენტი გამოთქვამს (დიაგრამა 9).

დიაგრამა 9: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად გაინტერესებთ ან არ გაინტერესებთ შემდეგი საკითხები: (%)



ამის ფონზე, ახალგაზრდები მეტად ინტერესდებიან საქართველოსა (78%) და საკუთარ დასახლებაში მიმდინარე მოვლენებით (51%, დიაგრამა 10). სამეზობლოში ან უბანში მომხდარი ამბები ახალგაზრდებისთვის ნაკლებად საინტერესოა (37%), თუმცა მაღალია ინტერესი სამუშაო ადგილსა და სასწავლებელში მიმდინარე მოვლენების მიმართ (66%). როგორც ვხედავთ, ამ მხრივ ინტერესები არაა ლოკალიზებული, ანუ - მხოლოდ ადგილობრივ საკითხებზე ორიენტირებული.

დიაგრამა 10: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად გაინტერესებთ ან არ გაინტერესებთ მიმდინარე მოვლენები... (%)



უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები და ისინი, ვის შეხედულებებთანაც ოპოზიციური პარტიები უფრო ახლოს დგას, უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი როგორც ქართული, ისე საერთაშორისო პოლიტიკით. ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებთან შედარებით, საერთაშორისო პოლიტიკით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები უფრო ინტერესდებიან. კიდევ უფრო მეტი ფაქტორია დაკავშირებული რუსული პოლიტიკით დაინტერესებასთან. ხსენებულით მეტად ინტერესდებიან უმაღლესი განათლებისა, და იძულებით გადაადგილების გამოცდილების მქონე ახალგაზრდები, ასევე ისინი, ვინც იშვიათად ესწრებიან რელიგიურ მსახურებას.

როდესაც საქმე მიმდინარე მოვლენებს ეხება, ჯგუფებს შორის განსხვავებები იზრდება. კაცების, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისა, და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინტერესები უფრო მეტად ლოკალიზებულია, ანუ ისინი მეტად ინტერესდებიან როგორც სამეზობლოში ან უბანში მომხდარი ამბებით, ისე საკუთარ დასახლებულ პუნქტში მიმდინარე მოვლენებით. რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე მოვლენებით დაინტერესებას, მნიშვნელოვანი ფაქტორებია დასაქმების სტატუსი, და რელიგიურობა. ამასთან, სტატისტიკური მნიშვნელოვნების მიუხედავად, ჯგუფებს შორის განსხვავებები ძალიან მცირეა. უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები ასევე უფრო მეტად ინტერესდებიან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით, საშუალო და ტექნიკური განათლების მქონე ახალგაზრდებთან შედარებით.

ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების აღქმა

ახალგაზრდები ქვეყნის წინაშე მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს შორის, ძირითადად, ეკონომიკურ საკითხებს ასახელებენ (დიაგრამა 11). ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს შორის ყველაზე ხშირად უმუშევრობა (35%) და სიღარიბე (14%) სახელდება, უფრო იშვიათად კი - განათლების ხარისხი (8%), ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარება (8%), კორონავირუსი (5%), ტერიტორიული მთლიანობა (5%), და ფასების ზრდა/ინფლაცია (4%). მნიშვნელობით მეორე ადგილზე დასახელებული პრობლემები, ყველაზე ხშირად, კვლავ ეკონომიკური ხასიათისაა - სიღარიბე (20%), უმუშევრობა (15%), და ფასების ზრდა/ინფლაცია (12%).

დიაგრამა 11: თქვენი აზრით, რა არის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში? და რომელი პრობლემაა მნიშვნელობით მეორე ადგილზე? (%)



ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ ქვეყნის განვითარების მიმართულების მიმართ ახალგაზრდების უმრავლესობას ნეგატიური, ან ამბივალენტური დამოკიდებულება აქვს. ნახევარზე მეტი თვლის, რომ საქართველო ძირითადად ან უეჭველად არასწორი მიმართულებით მიდის (58%), მხოლოდ მეოთხედი მიიჩნევს, რომ საქართველო ძირითადად ან უეჭველად სწორი მიმართულებით მიდის, ხოლო 11 პროცენტისთვის საქართველო საერთოდ არ იცვლება (დიაგრამა 12). ახალგაზრდები, რომელთა ოჯახის რომელიმე წევრმაც სამსახური კორონავირუსის გამო დაკარგა, რომლებიც თავს დაბალ ან საშუალო ეკონომიკურ საფეხურზე მოიაზრებენ, და ისინი, ვინც საკუთარ შეხედულებებთან ახლოს ოპოზიციურ ან არცერთ პარტიას აყენებენ, მეტი ალბათობით მიიჩნევენ, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება.

დიაგრამა 12: თქვენი აზრით, საქართველო დღეს სწორი მიმართულებით მიდის, თუ მიიჩნევთ, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით მიდის? (%)



სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის გამოცდილება

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების საკმაოდ მცირე ნაწილია ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში (დიაგრამა 13). ბოლო ექვსი თვის განმავლობაში,

ახალგაზრდების მესამედზე ოდნავ ნაკლებს (30%) მიუღია მონაწილეობა საჯარო სივრცის დასუფთავებაში, მეოთხედს ინტერნეტის მოხმარებისას გაუკეთებია კომენტარი მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, მეხუთედზე ოდნავ მეტი კი (23%) ყოფილა მოხალისე, შეუსრულებია რაიმე საზოგადოებრივი სამუშაო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ახალგაზრდების 16 პროცენტს, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, ხელი მოუწერია პეტიციასა ან მოთხოვნაზე (ონლაინ პეტიციის ჩათვლით), 14 პროცენტი კი დასწრებია საჯარო შეხვედრას (მოსახლეობის შეკრებას საზოგადოებისთვის ან თემისთვის მნიშვნელოვანი საკითხების/პრობლემების განხილვის მიზნით).

საპროტესტო აქციაში, გამოსვლასა ან დემონსტრაციაში მონაწილეობის გამოცდილება ათიდან ერთ ახალგაზრდას აქვს. კიდევ უფრო ცოტა ახალგაზრდა მონაწილეობს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში. თემში არსებულ პრობლემებზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთან მხოლოდ მეათედს უსაუბრია, 8 პროცენტი დასწრებია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას, 6 პროცენტს კი თემში არსებულ პრობლემებზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლისათვის მიუწერია.

დიაგრამა 13: გთხოვთ, მითხრათ, ჩამოთვლილთაგან რომელ აქტივობაში მიიღეთ მონაწილეობა ბოლო 6 თვის განმავლობაში? (%)

იმის გასაგებად, თუ როგორ განსხვავდება ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობა ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით, მონაწილეობის ჯამური ინდექსი გამოვიყენეთ, სადაც თითოეულ ზემოხსენებულ საქმიანობაში მონაწილეობა შეფასდა 1 ქულით. ინდექსის მნიშვნელობა განაწილდა 0-იდან 9-მდე, სადაც მაღალი ქულა გულისხმობს მეტ აქტივობაში მონაწილეობას. ქულების განაწილება აჩვენებს, რომ ახალგაზრდების ყველაზე დიდ წილს (45%) არცერთ ზემოხსენებულ აქტივობაში მიუღია მონაწილეობა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, ცხრავე აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება კი ახალგაზრდების ერთ პროცენტსაც კი არ აქვს.

ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები, ძირითადად, ასაკობრივ ჭრილში, პანდემიის შედეგად სამსახურის დაკარგვისა, და პარტიული კუთვნილების მიხედვით გამოიკვეთა. 18-23 წლის ახალგაზრდები, ისინი, ვისი ოჯახის რომელიმე წევრმაც პანდემიის შედეგად სამსახური

დაკარგა, და ვის შეხედულებებთანაც ოპოზიციური პარტიები უფრო ახლოს დგას, უფრო მეტად მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში.

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ 12 პროცენტია რომელიმე გაერთიანების, კლუბის, ორგანიზაციის ან ასოციაციის წევრი.[12] მსგავსი გაერთიანების წევრობის ალბათობა შედარებით მაღალია 18-23 წლის, დასაქმებულ, და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს შორის (დიაგრამა 14). მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სოციალური კლასის ფაქტორიც, კერძოდ - დედის განათლება. რაც უფრო მაღალია დედის განათლება, მით მეტია ალბათობა, ახალგაზრდა რომელიმე ასეთ გაერთიანებაში იყოს გაწევრიანებული.

დიაგრამა 14: ხართ თუ არა ამჟამად რომელიმე გაერთიანების, კლუბის, ორგანიზაციის ან ასოციაციის წევრი? (%)



პარტიულ პოლიტიკაში პირდაპირი მონაწილეობა ახალგაზრდებს შორის ძალიან დაბალია, თუმცა შედარებით მეტი ახალგაზრდაა ჩართული პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში არაპირდაპირ (დიაგრამა 15). რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების ან პარტიის წევრი ახალგაზრდების მხოლოდ 3 პროცენტია, პოლიტიკური გაერთიანების, კანდიდატის, ან პარტიისთვის კი თანხა ახალგაზრდების მხოლოდ 1 პროცენტს შეუწირავს. შედარებით მეტი (8%) ამბობს, რომ ჩართული ყოფილა პოლიტიკურ კამპანიაში (მაგალითად, დაურიგებია ფლაერები, გაუკრავს პლაკატები, და ა.შ.), ან დასწრებია შეხვედრას პოლიტიკურ პარტიასთან ან პარტიის კანდიდატებთან (18%).

რაც შეეხება პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა საპროტესტო აქციასა თუ გამოსვლაში მონაწილეობა, მსგავსი გამოცდილება ახალგაზრდების 13

[12] იგულისხმება ნებისმიერი სახის გაერთიანება, პროფესიული გაერთიანება ან კავშირი, წიგნების მოყვარულთა კლუბი, თეატრის, ცეკვის ან სპორტის მოყვარულთა გაერთიანება, ან ონლაინ გაერთიანება, „ფეისბუქის“ ჯგუფი და ა.შ.

პროცენტს აქვს. პოლიტიკური მონაწილეობის ყველაზე გავრცელებული ფორმა არჩევნებში ხმის მიცემაა. ახალგაზრდების 63 პროცენტი აცხადებს, რომ მიიღო მონაწილეობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველ ან მეორე ტურში (ახალგაზრდების 2 პროცენტს, აღნიშნულ პერიოდში, ჯერ ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდა).

დიაგრამა 15: გთხოვთ, მითხრათ... (%)



იმის გასაგებად, თუ როგორ განსხვავდება პარტიულ პოლიტიკაში ახალგაზრდების პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობა ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით, მონაწილეობის ჯამური ინდექსი გამოვიყენეთ. თითოეულ ზემოხსენებულ საქმიანობაში ჩართვის გამოცდილება ერთი ქულით შეფასდა. ქულები განაწილდა 0-იდან 6-მდე, სადაც ინდექსის მაღალი მნიშვნელობა პოლიტიკაში უფრო აქტიურ მონაწილეობას შეესაბამება. ქულების განაწილება აჩვენებს, რომ ახალგაზრდების დაახლოებით მესამედს (31%) არცერთ ზემოხსენებულ საქმიანობაში მიუღია მონაწილეობა, ექვსივეში კი ახალგაზრდების 1 პროცენტიც კი არ ყოფილა ჩართული. კაცები, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები, და ისინი, ვინც რომელიმე პარტიას მაინც მიიჩნევენ თავიანთ შეხედულებებთან ახლოს მდგომად, იქნება ეს მმართველი თუ ოპოზიციური პარტია, მეტი ალბათობით ერთვებიან პოლიტიკურ აქტივობებში.

პოლიტიკური ქმედითობა

ახალგაზრდების პოლიტიკური ქმედითობის, კერძოდ, ე.წ. შიდა და გარე პოლიტიკური ქმედითობის შესაფასებლად, შესაბამისი ჯამური ინდექსები გამოვიყენეთ.[13] შიდა პოლიტიკური ქმედითობა აფასებს ინდივიდის რწმენას მისი პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობასა და იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მიაჩნია მას, რომ ესმის პოლიტიკა და შეუძლია მასში ჩართვა. წინამდებარე კვლევაში, შიდა პოლიტიკურ ქმედითობას სამი დებულებით ვაფასებთ (

დიაგრამა 16).

დიაგრამა 16: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ დაჯგუფდა ნეიტრალურ კატეგორიად, %).

[13] Groskurth *et al.* (2021)



საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის შიდა პოლიტიკური ქმედითობა საკმაოდ დაბალია, ანუ - მათი უმეტესობა მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში ვერ ერკვევა, და მასში მონაწილეობისთვისაც არ არის მზად. ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედი (24%) თვლის, რომ კარგად არის გარკვეული ქვეყნის წინაშე მდგარ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებში. მცირედით ნაკლები (20%) ახალგაზრდა მიიჩნევს, რომ პოლიტიკისა და სახელმწიფოს მართვის საკითხებში უფრო გათვითცნობიერებულია, ვიდრე თანატოლები. დაახლოებით ამდენივე ახალგაზრდა (18%) მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში მონაწილეობისთვის მზად არის, თუკი ამის სურვილი გაუჩნდება.

შიდა პოლიტიკური ქმედითობის ინდექსი ზემოხსენებულ კითხვებზე პასუხების ჯამია, რომელზეც ქულები 0-იდან 12-მდე ნაწილდება. ინდექსის დიდი მაჩვენებელი მაღალ შიდა პოლიტიკურ ქმედითობაზე მიანიშნებს. ქულების პროცენტული განაწილება აჩვენებს, რომ ახალგაზრდების უმრავლესობას (62%) დაბალი (0-4 ქულა) შიდა პოლიტიკური ქმედითობა ახასიათებს. შედარებით მაღალი შიდა პოლიტიკური ქმედითობით (9-12 ქულა) ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილი (7%) ხასიათდება. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებს, და მათ, ვინც ოპოზიციურ პარტიებს მიიჩნევენ საკუთარ შეხედულებებთან ახლოს, შედარებით მაღალი შიდა პოლიტიკური ქმედითობა ახასიათებთ (დიაგრამა 17). საგულისხმოა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის საშუალო პოლიტიკური ქმედითობის სიჭარბე სავარაუდოდ, მათ მიერ გაცემული „არ ვიცი“ პასუხების ხარჯზეა.

დიაგრამა 17: შიდა პოლიტიკური ქმედითობის ინდექსი ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. (0-იდან 4-ის ჩათვლით მნიშვნელობები დაჯგუფებულია კატეგორიად „დაბალი,“ 5-იდან 8-ის ჩათვლით - „საშუალო“, ხოლო 9-იდან 12-ის ჩათვლით - „მაღალი“, %).



გარე პოლიტიკური ქმედითობა აფასებს იმას, თუ რამდენად მიაჩნია ინდივიდს, რომ მთავრობა ღიაა მოქალაქეების მოთხოვნებისადმი (დიაგრამა 18). შიდა პოლიტიკური ქმედითობის მსგავსად, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების გარე პოლიტიკური ქმედითობაც საკმაოდ დაბალია. ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედი (23%) მიიჩნევს, რომ მათნაირ ადამიანებს მთავრობის ქმედებებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება არ აქვთ. კიდევ უფრო მაღალია ახალგაზრდებში იმის რწმენა, რომ მთავრობა, როგორც წესი, მათნაირი ადამიანების აზრს პატივს არ სცემს (37%), ხოლო ახალგაზრდების კიდევ უფრო მეტ წილს (44%) მიაჩნია, რომ თანამდებობის პირებს არ ადარდებთ, თუ რას ფიქრობენ მათნაირი ადამიანები.

დიაგრამა 18: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ დაჯგუფდა ნეიტრალურ კატეგორიად, %)



გარე პოლიტიკური ქმედითობის ინდექსი ზემოხსენებულ კითხვებზე პასუხების ჯამია. ინდექსის ქულები 0-იდან 12-მდე ნაწილდება, თუმცა კითხვების შინაარსიდან გამომდინარე, აქ მაღალი ქულა დაბალ გარე პოლიტიკურ ქმედითობაზე მიანიშნებს. ქულების პროცენტული განაწილება

მიუთითებს, რომ ახალგაზრდების მხოლოდ 28 პროცენტს ახასიათებს მაღალი გარე პოლიტიკური ქმედითობა (0-4 ქულა). შედარებით დაბალი გარე პოლიტიკური ქმედითობით კი ახალგაზრდების დაახლოებით მეხუთედი (18%) ხასიათდება (9-12 ქულა). ახალგაზრდებს, რომელთა ოჯახის რომელიმე წევრმაც დაკარგა სამსახური კორონავირუსის გამო, და რომლებიც ოპოზიციურ პარტიებს, ან არცერთ პარტიას მიიჩნევენ საკუთარ შეხედულებებთან ახლოს, შედარებით დაბალი გარე პოლიტიკური ქმედითობა ახასიათებთ.

დიაგრამა 19: გარე პოლიტიკური ქმედითობის ინდექსი ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. (0-იდან 4-ის ჩათვლით მნიშვნელობები დაჯგუფებულია კატეგორიად „მაღალი," 5-იდან 8-ის ჩათვლით - „საშუალო", ხოლო 9-იდან 12-ის ჩათვლით - „დაბალი", %).



საგულისხმოა, რომ შიდა პოლიტიკური ქმედითობა მნიშვნელოვან კავშირშია ახალგაზრდების როგორც სამოქალაქო, ისე პოლიტიკურ მონაწილეობასთან. მაღალი შიდა პოლიტიკური ქმედითობა ასოცირდება უფრო აქტიურ სამოქალაქო და პოლიტიკურ მონაწილეობასთან და პირიქით.

პარტიული სიმპათიები

ახალგაზრდების ერთი მესამედისთვის (34%) საქართველოში არ არსებობს ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც მათ შეხედულებებთან ახლოს იდგებოდა, 12 პროცენტს კი არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი პარტია დგას მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს, ან უარს აცხადებს პარტიის დასახელებაზე. ახალგაზრდების დაახლოებით მეხუთედი (18%) საკუთარ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მმართველ პარტიას - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" - ასახელებს, მესამედზე მეტი კი (36%) ასეთად სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიას მიიჩნევს.

ახალგაზრდების ის 46 პროცენტი, რომელიც აცხადებს, რომ მის შეხედულებებთან ახლოს არცერთი პარტია დგას, რომელსაც არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია, ან უარს აცხადებს მსგავსი პარტიის დასახელებაზე, ვერ ასახელებს ვერც ისეთ პარტიას, რომლის მიმართაც, სხვებთან შედარებით, შეიძლება მეტნაკლები სიმპათიით იყოს განწყობილი. ამ ახალგაზრდების უმრავლესობა (72%) აცხადებს, რომ არ არსებობს პარტია, რომლის მიმართაც სიმპათიით არის განწყობილი, მეოთხედი კი ან უარს აცხადებს პარტიის დასახელებაზე, ან არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია.

ახალგაზრდების მხოლოდ 2 პროცენტი ასახელებს ოპოზიციურ პარტიებს, ერთი პროცენტი კი - მმართველ პარტიას.

დიაგრამა 20: პარტიული კუთვნილება ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით (კომბინირებულია პასუხები კითხვაზე, თუ რომელი პარტია დგას ყველაზე ახლოს რესპონდენტის შეხედულებებთან და რომელი პარტიისადმია ყველაზე დიდი სიმპათიით განწყობილი, %).



პარტიული კუთვნილების სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ ძირითად დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის გარკვეული სხვაობა იკვეთება (დიაგრამა 20). თუკი მმართველ პარტიას საკუთარ შეხედულებებთან ახლოს მყოფად ახალგაზრდების დაახლოებით ერთი და იგივე წილი ასახელებს როგორც დედაქალაქსა (17%) და სხვა ქალაქებში (19%), ისე სოფლებში (19%), ოპოზიციურ პარტიებს ყველაზე მეტი მხარდამჭერი თბილისში ჰყავს (55%), ამას მოსდევს სხვა ქალაქები (35%), შემდეგ კი - სოფლები (24%). შესაბამისად, ყველაზე ხშირად არცერთ პარტიას სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები ასახელებენ (40%). ამ უკანასკნელთ ყველაზე ხშირად აქვთ ჩამოუყალიბებელი პოზიცია, ან უარს აცხადებენ პარტიის დასახელებაზე (17%). მმართველ პარტიას ნაკლებად უჭერენ მხარს ის ახალგაზრდები, რომელთა ოჯახის რომელიმე წევრმაც დაკარგა სამსახური კორონავირუსის გამო, რომლებიც იშვიათად ან არასდროს ესწრებიან რელიგიურ მსახურებას, და რომელთა ეკონომიკური მდგომარეობაც შედარებით მძიმეა.

კონფლიქტები და მშვიდობის მშენებლობა

კონფლიქტების შესახებ ცოდნა და გამოცდილება

როდესაც საქმე საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებსა და ამ რეგიონების პოლიტიკას ეხება, დანარჩენი საქართველოს მსგავსად, ახალგაზრდები მეტი ყურადღებით მიმდინარე მოვლენებს ადევნებენ თვალყურს, პოლიტიკა კი ნაკლებად აინტერესებთ. ინტერესთან ერთად, მაღალია ამ რეგიონებში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების ალბათობაც.

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების 62 პროცენტი დაინტერესებულია აფხაზეთში, 58 პროცენტი კი ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებით (დიაგრამა 10). ეთნიკურად ქართველი, უმაღლესი განათლების მქონე, და დასაქმებული ახალგაზრდები, მეტად არიან დაინტერესებულნი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებით. აფხაზეთთან მიმართებით გარკვეულ როლს თამაშობს რელიგიური და ეკონომიკური ფაქტორიც. ახალგაზრდები, რომლებიც არასდროს ესწრებიან რელიგიურ მსახურებას, და რომლებიც თავს დაბალ ეკონომიკურ საფეხურზე მოიაზრებენ, ნაკლებ ინტერესს გამოხატავენ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ. ხოლო ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან მიმართებით გარკვეულ როლს თამაშობს პარტიული კუთვნილებაც. ახალგაზრდები, რომლებიც ვერ ან არ ასახელებენ მათ შეხედულებებთან ახლოს მდგომ პარტიას, ნაკლებ ინტერესდებიან რეგიონში მიმდინარე მოვლენებით.

დიაგრამა 21: რამდენად გაინტერესებთ ან არ გაინტერესებთ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები? (%)



ახალგაზრდებში ნაკლებია ამ რეგიონების პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესი (ისევე, როგორც ზოგადად, პოლიტიკით დაინტერესება). ახალგაზრდების თითქმის მესამედია დაინტერესებული როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის პოლიტიკით (დიაგრამა 9). უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები მეტად არიან დაინტერესებულნი კონფლიქტური რეგიონების პოლიტიკით. აფხაზეთის პოლიტიკით დაინტერესების მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა იძულებით გადაადგილების გამოცდილებაც. ასეთი გამოცდილების მქონე ახალგაზრდები მეტად ინტერესდებიან აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური ამბებით.

ახალგაზრდების მეათედი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ იღებს (დიაგრამა 22). კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის წყაროდ ყველაზე ხშირად სახელდება „ფეისბუქი“ (56%), ქართული ტელევიზიები (40%), და ქართული ონლაინ მედიასაშუალებები (25%). შემდეგი ყველაზე ხშირად დასახელებული წყაროა ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები ან კოლეგები (10%). ახალგაზრდების 6 პროცენტი საერთაშორისო მედიასაშუალებებსაც ასახელებს. იშვიათად სახელდება ქართული ბეჭდური მედია (2%), და რუსული საინფორმაციო საშუალებები (2%).

დიაგრამა 22: საიდან იღებთ ინფორმაციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, რამდენიმე პასუხი დაესახელებინათ, %).



იმის გასაგებად, თუ როგორია ახალგაზრდების პოლიტიკური ქმედითობა სამშვიდობო პროცესებთან მიმართებით, შიდა და გარე პოლიტიკური ქმედითობის ანალოგიით შედგენილი კითხვები გამოვიყენეთ. ქართული კონფლიქტების კონტექსტზე მორგებული შიდა პოლიტიკური ქმედითობის ინდექსი სამ კითხვაზე დაყრდნობით ზომავს ინდივიდის ცნობიერებასა და მზაობას, მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო პროცესებში (დიაგრამა 23). ამ თვალსაზრისით, ახალგაზრდების შიდა ქმედითობა საკმაოდ არაერთგვაროვანია. საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ 15 პროცენტი მიიჩნევს, რომ კარგად არის გარკვეული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების საკითხებში, 17 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების საკითხებში უფრო გათვითცნობიერებულია, ვიდრე თანატოლები. ამის ფონზე, მნიშვნელოვნად მეტი - ახალგაზრდების 42 პროცენტი აცხადებს, რომ თავს მზად თვლის მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებულ სამშვიდობო ინიციატივებში, თუკი ამის სურვილი გაუჩნდება.

დიაგრამა 23: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ დაჯგუფდა ნეიტრალურ კატეგორიად, %).



შიდა პოლიტიკური ქმედითობის ინდექსი ზემოხსენებულ კითხვებზე პასუხების ჯამია, რომელზეც ქულები 0-იდან 12-მდე ნაწილდება. ინდექსის მაღალი ქულა მაღალ შიდა პოლიტიკურ ქმედითობაზე მიანიშნებს და პირიქით. ქულების პროცენტული განაწილება აჩვენებს, რომ ახალგაზრდების 39 პროცენტს კონფლიქტებთან მიმართებით დაბალი შიდა პოლიტიკური ქმედითობა ახასიათებს (0-4 ქულა). შუალედურ პოზიციას (5-8 ქულა) იჭერს ახალგაზრდების ნახევარი (51%), მაღალი პოლიტიკური ქმედითობით (9-12 ქულა) კი ახალგაზრდების მხოლოდ მეათედი ხასიათდება. სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ კაცებს, უმაღლესი განათლების მქონე, და კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილების გამოცდილების მქონე ახალგაზრდებს შედარებით მაღალი შიდა პოლიტიკური ქმედითობა ახასიათებთ, ანუ - დაინტერესებულნი არიან კონფლიქტით, გარკვეულნი არიან კონფლიქტების საკითხებში, და თავს მზად თვლიან, ჩაერთონ სამშვიდობო ინიციატივებში.

ქართული კონფლიქტების კონტექსტზე მორგებული და სამი დებულებით გაზომილი გარე პოლიტიკური ქმედითობის ინდექსი აფასებს, თუ რამდენად მიაჩნია ინდივიდს, რომ ზოგადად, მოქალაქეებს სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ (დიაგრამა 24). საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები მაღალი გარე პოლიტიკური ქმედითობით არც კონფლიქტების გარშემო გამოირჩევიან. ახალგაზრდების მეხუთედი (21%) მიიჩნევს, რომ მათნაირ ადამიანებს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების საკითხებზე მთავრობის ქმედებებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება არ აქვთ. კიდევ უფრო მაღალია ახალგაზრდებში იმის რწმენა, რომ მთავრობა, როგორც წესი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით მათნაირი ადამიანების აზრს პატივს არ სცემს (32%), და ის, რომ სახელმწიფო მოხელეებს არ ადარდებთ, თუ რას ფიქრობენ მათნაირი ადამიანები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებზე (32%).

დიაგრამა 24: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ დაჯგუფდა ნეიტრალურ კატეგორიად, %).



კონფლიქტებთან მიმართებით გარე პოლიტიკური ქმედითობის ინდექსი ზემოხსენებულ კითხვებზე პასუხების ჯამია, რომელზეც ქულები 0-იდან 12-მდე ნაწილდება. ზოგადი გარე პოლიტიკური ქმედითობის ინდექსის მსგავსად, რესპონდენტის მაღალი ქულა დაბალ გარე პოლიტიკურ ქმედითობაზე მიანიშნებს. ქულების პროცენტული განაწილება აჩვენებს, რომ ახალგაზრდების დაახლოებით მესამედს (33%), კონფლიქტებთან მიმართებით, მაღალი გარე პოლიტიკური ქმედითობა ახასიათებს (0-4 ქულა). შედარებით დაბალი გარე პოლიტიკური ქმედითობით კი ახალგაზრდების 16 პროცენტი ხასიათდება (9-12 ქულა). სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილების გამოცდილების მქონე ახალგაზრდებს, და მათ, ვინც მმართველ პარტიას მიიჩნევენ საკუთრ შეხედულებებთან ახლოს, შედარებით მაღალი გარე პოლიტიკური ქმედითობა ახასიათებთ.

ურთიერთობები კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის

ახალგაზრდების უმრავლესობა (72%) პირადად არ იცნობს ადამიანს, რომელიც ამჟამად აფხაზეთსა ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს. ახალგაზრდების მეხუთედი (22%) აცხადებს, რომ პირადი ნაცნობობა აკავშირებს ადამიანთან, რომელიც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობს, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანს კი ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილი, მხოლოდ 5 პროცენტი იცნობს.

პირადი ნაცნობობითა თუ მის გარეშე, ახალგაზრდების უმრავლესობას (73%) ბოლო ათი წლის მანძილზე აფხაზეთის მცხოვრებლებთან ურთიერთობა არ ჰქონია. აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებსა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა ძირითადად, ინტერნეტის (სოციალური ქსელების, ფორუმის, ა.შ.) საშუალებით ხდება (12%). საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების მეათედი აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანს/ადამიანებს შეხვედრია პირისპირ, არაფორმალურად (სუფრაზე, ეკლესიაში, ა.შ.), საქმიანი მიზნით პირისპირ შეხვედრის გამოცდილება კი ახალგაზრდების 7 პროცენტს აქვს. ასევე 7 პროცენტს აქვს ტელეფონით საუბრის გამოცდილება.

კიდევ უფრო მცირეა ურთიერთობის გამოცდილება ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანებთან. ახალგაზრდების 87 პროცენტი აცხადებს, რომ ამ რეგიონის მცხოვრებლებთან ურთიერთობა არ ჰქონია. აქაც, ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ფორმა

ინტერნეტია (5%). არაფორმალურად პირისპირ შეხვედრის გამოცდილება ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანებთან ახალგაზრდების 3 პროცენტს აქვს, საქმიანი მიზნით პირისპირ შეხვედრის გამოცდილება კი 2 პროცენტს. ახალგაზრდების 3 პროცენტს აქვს ტელეფონით საუბრის გამოცდილება.

იმის გასაგებად, განსხვავდება თუ არა აფხაზეთსა თუ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანთან ან ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით, ჯამური ინდექსები გამოვიყენეთ. ინდექსები ერთი მხრივ აფხაზეთში, მეორე მხრივ კი ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანთან ან ადამიანებთან სხვადასხვა სახის ინტერაქციის შესახებ კითხვების ჯამია. ქულები ნაწილდება 0-იდან 5-მდე, სადაც მაღალი ქულა გულისხმობს მეტი სახის ურთიერთობის გამოცდილებას. სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ ურთიერთობის თუ რამდენად მრავალფეროვანი გამოცდილება აქვთ ახალგაზრდებს აფხაზეთსა თუ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანებთან არ განსხვავდება დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის. გამონაკლისს მხოლოდ კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილების გამოცდილება წარმოადგენს. ასეთი გამოცდილების მქონე ახალგაზრდებს მეტად აქვთ აფხაზეთის, მაგრამ არა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან ურთიერთობის გამოცდილება.

სამშვიდობო პროცესების მიმართ დამოკიდებულება

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები ერთსულოვნად მიიჩნევენ (95%), რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები მოლაპარაკების გზით უნდა გადაიჭრას, და მხოლოდ 2 პროცენტი ემხრობა კონფლიქტების ძალის გამოყენებით გადაჭრას.

დიაგრამა 25: თქვენი აზრით, რამდენ ხანში მოგვარდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები? (%)



ახალგაზრდების დაახლოებით მესამედს (31%) უჭირს იმის თქმა, თუ რამდენ ხანში მოგვარდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები (დიაგრამა 25). ყველაზე პოპულარულია მოსაზრება, რომ კონფლიქტები მომდევნო 6-10 წელიწადში მოგვარდება (23%), პესიმისტურად განწყობილ კატეგორიას კი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ეს კონფლიქტები არასდროს მოგვარდება, ახალგაზრდების 5 პროცენტი წარმოადგენს.

ახალგაზრდების 44 პროცენტი მიიჩნევს, რომ სამშვიდობო პროცესებში ქალების მეტ ჩართვას კონფლიქტების მოგვარებაზე დადებითი გავლენა ექნებოდა. ახალგაზრდების 14 პროცენტი მიიჩნევს, რომ სამშვიდობო პროცესებში ქალების ჩართვა კონფლიქტებზე უარყოფითად იმოქმედებს, მეხუთედზე მეტი კი (28%) ქალების პოტენციურ გავლენას საერთოდ ვერ ხედავს. ახალგაზრდების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს (15%) არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა ქალების მეტ მონაწილეობას სამშვიდობო პროცესებზე გავლენის მოხდენა.

ის ახალგაზრდები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქალებს შეუძლიათ პოზიტიური გავლენა იქონიონ სამშვიდობო პროცესებზე, ქალების მონაწილეობის მნიშვნელობას ყველაზე ხშირად მშვიდობის გრძელვადიან შენარჩუნებას უკავშირებენ (56%). ასეთი ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი მიიჩნევს, რომ სამშვიდობო პროცესებში ქალების გაზრდილი მონაწილეობის შედეგად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ქალები მათთვის საჭირო უფრო მეტ დახმარებას მიიღებენ (33%), და ის, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას საშუალება ექნება, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული უფრო მეტი სოციალური პროგრამით ისარგებლოს (32%). ახალგაზრდების მეოთხედის (26%) აზრით კი, ქალების გაზრდილი მონაწილეობის შედეგად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას საშუალება ექნება, არასამთავრობო სექტორის მიერ შემოთავაზებული უფრო მეტი სოციალური პროგრამით ისარგებლოს.

კონფლიქტით დაზარალებული მხარეების მიმართ ემპათია ქართველ ახალგაზრდებში საკმაოდ მაღალია. მათი უმრავლესობა (64%) მიიჩნევს, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ამჟამად მცხოვრები ჩვეულებრივი ადამიანები კონფლიქტის ისეთივე მსხვერპლნი არიან, როგორც ქართველები (დიაგრამა 26). ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ახალგაზრდების მხოლოდ მეათედი, მეოთხედზე მეტი კი (27%) ან შუალედურ პოზიციას არჩევს, ან უჭირს ამ საკითხთან დაკავშირებით აზრის დაფიქსირება. მართალია მნიშვნელოვანი კავშირი არ ფიქსირდება იძულებით გადაადგილების გამოცდილებასთან, ისინი, ვისაც რაიმე სახის ურთიერთობა მაინც ჰქონია ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანებთან, კაცები, 18-23 წლისა, და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები ნაკლებ ეთანხმებიან აღნიშნულ მოსაზრებას.

დიაგრამა 26: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ჩამოთვლილ მოსაზრებებს? (%)



მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალგაზრდების სრული უმრავლესობა (95%) ემხრობა კონფლიქტების გადაჭრას მოლაპარაკებების გზით, თავად შერიგების პროცესისადმი დამოკიდებულებები არაერთგვაროვანია. შერიგების პროცესისადმი დამოკიდებულებასა და იძულებით გადაადგილების გამოცდილებას, ან კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილებასთან სტატისტიკური კავშირი არ გამოვლენილა.

ახალგაზრდების უმრავლესობა (62%) ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ აფხაზებთან და ოსებთან მშვიდობიანი ურთიერთობისთვის საჭიროა, დავივიწყოთ თუ რა იყო წარსულში და ერთად ვიფიქროთ მომავალზე. საგულისხმოა, რომ კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილების გამოცდილების მქონე ახალგაზრდები ამ მოსაზრებას ნაკლებ ეთანხმებიან.

ამის ფონზე, ახალგაზრდების მხოლოდ მეათედი (11%) მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, აფხაზებს და ოსებს ბოდიში პირველებმა მოვუხადოთ ქართული მხარის მიერ ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამო, და დაახლოებით ოთხჯერ მეტი ახალგაზრდა (43%) მიიჩნევს, რომ აფხაზებმა და ოსებმა პირველებმა უნდა გადმოდგან ნაბიჯი და ბოდიში მოუხადონ ქართულ მხარეს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამო. თუკი ეთნიკურად ქართველი, და დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები ნაკლებ ეთანხმებიან პირველი ნაბიჯის გადადგმას ქართველების მხრიდან, კაცები, და ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები მეტად ეთანხმებიან პირველი ნაბიჯის გადადგმას აფხაზებისა და ოსების მხრიდან.

რაც შეეხება კონფლიქტის მოგვარების გეოპოლიტიკურ ასპექტებს, ახალგაზრდების აზრი თითქმის ორად იყოფა. მათი 36 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველო ტერიტორიულ პრობლემებს რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავების გარეშე ვერ მოაგვარებს, 31 პროცენტი კი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. 24-29 წლის ახალგაზრდები, და ისინი, ვინც საკუთარ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს ოპოზიციურ პარტიებს აყენებენ, მეტად ეთანხმებიან აღნიშნულ მოსაზრებას.

როდესაც საუბარია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების სხვადასხვა ფორმატზე, მოდელები, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის დაცვას გულისხმობს, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების ყველაზე დიდი ნაწილისთვის არის მისაღები. დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის განსხვავებები არაერთგვაროვანია, თუმცა, ძირითადი სხვაობა მაინც დასახლების ტიპისა და ეთნიკური კუთვნილების ჭრილში ვლინდება. იძულებით გადაადგილებისა და კონფლიქტურ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება რომელიმე ფორმატის მხარდაჭერასთან კავშირში არაა.

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების უმრავლესობისთვის მისაღებია აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი იყოს საქართველოს ნაწილი, ავტონომიის გარეშე (შესაბამისად, 79% და 73%, დიაგრამა 27 და 28). შედარებით ნაკლებისთვის, თუმცა კვლავ უმრავლესობისთვის (56% და 50%, შესაბამისად) მისაღებია, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი იყოს საქართველოს ნაწილი და ჰქონდეს მნიშვნელოვანი ავტონომია. საგრძნობლად მცირდება მხარდაჭერა ისეთი ფორმატის მიმართ, რომლებშიც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს მეტი ავტონომია და დამოუკიდებლობა შეიძლება ჰქონდეს. საქართველოს გარდაქმნას ფედერაციულ სახელმწიფოდ, სადაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი გაწევრიანდებიან, როგორც მნიშვნელოვანი უფლებების მქონე სუბიექტები, სრულად ან ნაწილობრივ ახალგაზრდების შესაბამისად, 28 და 18 პროცენტი ემხრობა.

დიაგრამა 27: სხვადასხვა მოსაზრება არსებობს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. თითოეული მათგანის შესახებ მითხარით, რამდენად მისაღებია ან მიუღებელია იგი თქვენთვის (%).



ახალგაზრდების დაახლოებით მეხუთედისთვის მისაღებია, შეიქმნას კონფედერაცია ერთი მხრივ აფხაზეთისა და საქართველოს (22%), მეორე მხრივ კი ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის (17%) შემადგენლობით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს ორი უკანასკნელი სცენარი ყველაზე მეტ დაბნეულობასაც შეიძლება იწვევდეს, ვინაიდან სხვა მოდელებთან შედარებით, ახალგაზრდების ყველაზე მეტი წილი იჭერს შუალედურ პოზიციას ან - არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია ხსენებულ მოდელებთან დაკავშირებით.

დიაგრამა 28: სხვადასხვა მოსაზრება არსებობს სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. თითოეული მათგანის შესახებ მითხარით, რამდენად მისაღებია ან მიუღებელია იგი თქვენთვის (%).



აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა მისაღებია ახალგაზრდების მხოლოდ მეათედისთვის. მართალია ამ სცენარს ახალგაზრდების მცირე ნაწილი ემხრობა, ამ მცირე ნაწილს მეტად წარმოადგენენ ქალაქში მცხოვრები, და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები. ყველაზე მიუღებელი კი საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის არის მოდელი, რომლის მიხედვითაც კონფლიქტური ტერიტორიები შეიძლება, რუსეთის ფედერაციის ნაწილი გახდეს.

სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობით დაინტერესება

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების უმრავლესობა (66%) მზადაა, მონაწილეობა მიიღოს ისეთ ღონისძიებაში, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან შერიგებაზე იქნებოდა მიმართული, მეხუთედზე ოდნავ მეტი (26%) ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობას არ მიიღებდა, 7 პროცენტს კი ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს.

ჯგუფებს შორის განსხვავება მხოლოდ ეთნიკური კუთვნილების ჭრილში გამოიკვეთა. ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები მეტად გამოთქვამენ მზაობას ჩაერთონ შერიგებაზე მიმართულ ღონისძიებებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან შედარებით (დიაგრამა 29). კონფლიქტის შედეგად გადაადგილების გამოცდილებასთან, აფხაზეთსა თუ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ნაცნობების ყოლასთან, ან კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობის გამოცდილებასთან კავშირი არ ფიქსირდება.

დიაგრამა 29: პირადად თქვენ მიიღებდით თუ არა მონაწილეობას ისეთ ღონისძიებაში, რომელიც მიმართული იქნებოდა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან შერიგებაზე? (%)


ქვეყნის მასშტაბით
26
66
7
ეთნიკური კუთვნილება
ქართველი
24
69
7
ეთნიკური უმცირესობა
46
42
12
არა
დიახ
არ ვიცი/უარი პასუხზე

დასკვნები

წინამდებარე ანგარიშში მიმოხილულია სოციალურ, ეკონომიკურ, და პოლიტიკურ ცხოვრებასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობის გამოცდილება და მონაწილეობისადმი დამოკიდებულებები. უფრო კონკრეტულად, ტექსტში გაანალიზებულია ახალგაზრდების დამოკიდებულებები სხვადასხვა ინსტიტუტის მიმართ, სამოქალაქო ღირებულებები, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის გამოცდილება და მონაწილეობისადმი დამოკიდებულებები, კონფლიქტების შესახებ ცოდნა და გამოცდილება, სამშვიდობო პროცესების მიმართ არსებული დამოკიდებულებები.

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზის შედეგად შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოიკვეთა:

ახალგაზრდების უმრავლესობა ნდობას არ უცხადებს არცერთ სახელისუფლებო ინსტიტუტს. შედარებით მეტი ნდობით სარგებლობს სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტები. ახალგაზრდები, რომელთა შეხედულებებთანაც მმართველი პარტია უფრო ახლოს დგას მეტად ენდობიან ხსენებულ ინსტიტუტებს, იმათთან შედარებით, ვისი შეხედულებებიც ოპოზიციური პარტიებისკენ, ან არცერთი პარტიისკენ იხრება. ინსტიტუციური ნდობის მსგავსად, ახალგაზრდებში არც თუ ისე მაღალია ზოგადი საზოგადოებრივი ნდობა.

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები საკმაოდ დისტანცირებულნი არიან სხვადასხვა ეროვნებისა თუ ეთნოსის წარმომადგენლებისაგან. ქართველებთან საქმიანი ურთიერთობის, მეგობრობისა თუ ქორწინების მიმღებლობასთან შედარებით, საკმაოდ დაბალია სხვა ეროვნებისა თუ ეთნოსის წარმომადგენელთან მსგავსი ურთიერთობის მიმღებლობა, მათ შორის საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ეთნოსების წარმომადგენლებთან.

ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია. დემოკრატიულ წყობას მეტი ალბათობით ემხრობიან ეთნიკურად ქართველი, საშუალოზე უფრო მაღალი განათლების მქონე ახალგაზრდები, ახალგაზრდები, რომელთა მშობლებსაც საშუალოზე უფრო მაღალი განათლების ცენზი აქვთ, ან რომლებიც თავს საშუალო ან უფრო მაღალ ეკონომიკურ საფეხურზე მოიაზრებენ.

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები ერთსულოვნები არ არიან. ახალგაზრდების 43 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქართულ პოლიტიკაში ქალები უფრო მეტად უნდა იყვნენ წარმოდგენილები, 11 პროცენტისთვის კი ამას მნიშვნელობა არ აქვს. სხვა დემოგრაფიულ ჯგუფთან ერთად, კაცები მეტად არიან აღნიშნული საკითხის მიმართ სკეპტიკურად განწყობილნი, ქალებთან შედარებით. ქალთა აქტიური პოლიტიკური მონაწილეობის მომხრე ახალგაზრდების აზრით, სხვა ცვლილებებთან ერთად, ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს გენდერულ თანასწორობასა და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით კანონების უკეთ აღსრულებას.

ახალგაზრდები მეტად ინტერესდებიან ქვეყანაში თუ საცხოვრებელ ადგილას მიმდინარე მოვლენებით, ვიდრე საქართველოს პოლიტიკით. მსგავს დამოკიდებულებებს ავლენენ ახალგაზრდები კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებითაც. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენები მათთვის მეტად საინტერესოა, ვიდრე ამ რეგიონების პოლიტიკა. როგორც საქართველოში მიმდინარე მოვლენებით, ისე პოლიტიკით მეტად უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები ინტერესდებიან.

ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით მიდის. ქვეყნის განვითარების მიმართულებას შედარებით პესიმისტურად აღიქვამენ ისინი, ვისი ოჯახის რომელიმე წევრმაც დაკარგა სამსახური კორონავირუსის გამო, რომლებიც თავს დაბალ ან საშუალო ეკონომიკურ საფეხურზე მოიაზრებენ, და რომლებიც საკუთარ შეხედულებებთან ახლოს ოპოზიციურ პარტიებს, ან არცერთ პარტიას აყენებენ.

ქვეყნის წინაშე მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს შორის, ძირითადად, ეკონომიკური საკითხები - უმუშევრობა და სიღარიბე სახელდება. ამის ფონზე, ტერიტორიულ მთლიანობას ქვეყნის წინაშე მდგარ ყველაზე მწვავე პრობლემად ახალგაზრდების მხოლოდ 5 პროცენტი ასახელებს.

ახალგაზრდების დიდი ნაწილი (45%) საერთოდ არ მონაწილეობს სამოქალაქო ცხოვრებაში. მონაწილეობის ყველაზე გავრცელებული ფორმები მოხალისეობა და ონლაინ სივრცეში მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების გამოთქმაა. ძალიან დაბალია თემის და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობა, და გაერთიანებების წევრობა.

დაბალია პოლიტიკური მონაწილეობაც, რისი გამოცდილებაც ახალგაზრდების დაახლოებით მესამედს აქვს. პარტიულ პოლიტიკაში პირდაპირ მონაწილეობასთან შედარებით, უფრო მაღალია პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში არაპირდაპირი ჩართულობა. კაცები, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები, და ისინი, ვინც რომელიმე პარტიას მაინც მიიჩნევენ თავიანთ შეხედულებებთან ახლოს მდგომად, უფრო მეტად ერთვებიან პოლიტიკურ საქმიანობაში.

საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ, ერთი მხრივ იმის რწმენა, რომ ესმით პოლიტიკური საკითხები და შეუძლიათ პოლიტიკაში მონაწილეობა, ხოლო მეორე მხრივ, ნაკლებად თვლიან, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები და თანამდებობის პირები მოქალაქეების საწუხარს გრძნობენ და მზად არიან, მათი მოსაზრებები გაითვალისწინონ.

ახალგაზრდების მესამედი აცხადებს, რომ მის შეხედულებებთან საქართველოში მოქმედი არცერთი პოლიტიკური პარტია არ დგას, მეათედზე მეტს კი ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს. ზოგადად, პოლიტიკურ პარტიებს ახალგაზრდების მხოლოდ 8 პროცენტი ენდობა.

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებისადმი ახალგაზრდების ინტერესი მაღალია, და მათი უმრავლესობა ამ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციასაც იღებს. ინფორმაციის წყაროდ ყველაზე ხშირად „ფეისბუქი“, ქართული ტელევიზიები, და ქართული ონლაინ მედიასაშუალებები სახელდება.

ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ კარგად ერკვევა კონფლიქტების საკითხებში, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი (42%) მზად არის მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო ინიციატივებში. კიდევ უფრო მცირეა იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებით, მათნაირი ადამიანების აზრს ხელისუფლების წარმომადგენლები და თანამდებობის პირები ითვალისწინებენ. ზოგადად, კაცები და მმართველი პარტიის მხარდამჭერები უფრო მეტად მიიჩნევენ, რომ სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ. უმაღლესი განათლება და კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილების გამოცდილება კი ასოცირდება როგორც მონაწილეობის პოტენციალის, ისე შესაძლებლობების აღქმაზე. ზოგადად, ახალგაზრდების უმრავლესობა მზადაა მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო პროცესებში.

ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა არც პირადად იცნობს ადამიანს, რომელიც ამჟამად აფხაზეთსა ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს, არც რაიმე სახის ურთიერთობა

ჰქონია კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებთან ბოლო ათი წლის განმავლობაში. კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილების გამოცდილების მქონე ახალგაზრდებს მეტად აქვთ აფხაზეთის, მაგრამ არა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან ურთიერთობის გამოცდილება.

ახალგაზრდების მნიშვნელოვან ნაწილს უჭირს იმის განსაზღვრა, თუ რამდენ ხანში მოგვარდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები, თუმცა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა (5%) მიიჩნევს, რომ კონფლიქტები არასდროს მოგვარდება.

ახალგაზრდების სრული უმრავლესობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოლაპარაკებების გზით მოგვარებას ემხრობა.

ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი (44%) მიიჩნევს, რომ ქალების მეტ ჩართულობას სამშვიდობო პროცესებში დადებითი გავლენა ექნება, რასაც ახალგაზრდები, ყველაზე ხშირად, მშვიდობის გრძელვადიანი შენარჩუნების პერსპექტივას უკავშირებენ.

ემპათია კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოებების მიმართ საკმაოდ მაღალია, ასევე, ახალგაზრდები მეტნაკლებად თანხმდებიან იმ საკითხზე, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ამჟამად მცხოვრები ჩვეულებრივი ადამიანები კონფლიქტის ისეთივე მსხვერპლნი არიან, როგორც ეთნიკური ქართველები. ახალგაზრდების უმრავლესობა, ასევე მიიჩნევს, რომ მშვიდობის დამყარებისთვის მნიშვნელოვანია დავივიწყოთ თუ რა მოხდა წარსულში და აფხაზებთან და ოსებთან ერთად ვიფიქროთ მომავალზე.

მნიშვნელოვნად მეტი ახალგაზრდა მიიჩნევს, რომ აფხაზებმა და ოსებმა პირველებმა უნდა მოუხადონ ბოდიში ქართველებს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამო (43%), იმ ახალგაზრდებთან შედარებით, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ბოდიში პირველად ქართველებმა უნდა მოიხადონ (11%).

კონფლიქტების მოგვარების ის უნიტარული მოდელები, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან ასოცირდება, ახალგაზრდების ყველაზე დიდი ნაწილისთვის არის მისაღები. ფედერაციულ და კონფედერაციულ მოწყობას არცთუ ისე ბევრი მომხრე ჰყავს, თუმცა უფრო ხშირია ჩამოუყალიბებელი პოზიცია, ვიდრე წინააღმდეგობა. რაც შეეხება დამოუკიდებლობასა თუ რუსეთთან ინტეგრაციას, ახალგაზრდების დიდი უმრავლესობისთვის კონფლიქტის მოგვარების ეს სცენარები მიუღებელია.

ბიბლიოგრაფია

Geisinger, K.F. (2010). ‘Bogardus Social Distance Scale’. *The Corsini Encyclopedia of Psychology*, ხელმისაწვდომია *https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/9780470479216.corpsy0135*

Groskurth, K., Niessen, D., Eammstedt, B., Lechner C.M. (2021). ‘An English-Language Adaptation and Validation of the Political Efficacy Short Scale (PESS)’. *Measurement Instruments for the Social Sciences,* 3(1), ხელმისაწვდომია *https://measurementinstrumentssocialscience.biomedcentral.com/articles/10.1186/s42409-020-00018-z*

Dutton, D. (1985). ‘Socioeconomic Status and Children’s Health’. *Medical Care* 23 (2): 142–56.

Frederiksen, M. (2019). ‘On the inside of Generalized Trust: Trust Dispositions as Perceptions of Self and Others’. *Current Sociology* 67 (1): 3–26.

United Nations Security Council. (2015). ‘United Nations Security Council Resolution 2250’, ხელმისაწვდომია *https://undocs.org/S/RES/2250(2015)*

United Nations Security Council. (2018). ‘United Nations Security Council Resolution 2419’, ხელმისაწვდომია *https://undocs.org/en/S/RES/2419(2018)*

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. (2014). *‘საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი’,* ხელმისაწვდომია *http://msy.gov.ge/index.php?sec_id=210&lang_id=GEO*

საქართველოს პარლამენტი. (2020). *‘2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ’,* ხელმისაწვდომია *https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0*